GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 11 Haziran / ივნისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	7.7 %

Başbakan Irakli Garibashvili, Türkiye Tarım Bakanı ile görüştü
პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს შეხვდა

Gürcistan Başbakanı İrakli Garibashvili, Türkiye Tarım Bakanı Bekir Pakdemirli ile görüştü. Görüşmede Başbakan, Türkiye'ye yaptığı resmi ziyareti bir kez daha vurguladı ve Türk tarafına sıcak karşılama ve misafirperverlik için teşekkür etti.

Toplantıda tarım alanındaki işbirliği alanları ele alındı. Ülkeler arası ihracat ve ithalat konuşuldu.

2020 yılı verilerine göre Gürcistan'dan Türkiye'ye 27,3 milyon ABD doları değerinde tarımsal gıda ürünü ihracatının 2019'un aynı göstergesinden %91 daha fazla olduğu kaydedildi.

İthalatta ise 2020 verilerine göre Türkiye'den Gürcistan'a 114,8 milyon dolarlık tarımsal gıda ürünleri ithal edildi.

Türkiye'den yapılan tarımsal gıda ürünleri ithalatının son yıllarda azalmakta olduğu kaydedildi. 2020 yılında tarım-gıda ürünleri ithalatı 2019'a göre %4, 2018'e göre ise %14 azaldı.

Toplantıda Türkiye'nin tarım alanında yaptığı yardımlar da ele alındı. Başbakan, Gürcistan'a uzun yıllardır çeşitli alanlarda yardımlarda bulunan Türk İşbirliği ve Koordinasyon Ajansı'na (TİKA) teşekkür etti.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრ ბექირ პაკდემირლს შეხვდა. პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თურქეთში მის სახელმწიფო ვიზიტს და ქართული დელეგაციის გულთბილი დახვედრისთვის და მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის მიმართულებებს. განიხილეს ქვეყნებს შორის ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები.

აღინიშნა, რომ 2020 წლის მონაცემებით, საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებულია 27.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 91%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რაც შეეხება იმპორტს, თურქეთიდან საქართველოში 2020 წლის მონაცემებით, იმპორტირებულია 114.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია.

AK YIL ZEMIN · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

აღინიშნა, რომ თურქეთიდან აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი ბოლო წლებში კლებადი ტენდენციით ხასიათდება. 2020 წელს აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი, 2019 წელთან შედარებით, 4%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით 14%-ით შემცირდა.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს თურქეთის მიერ გაწეული დახმარება სოფლის მეურნეობის მიმართულებით. პრემიერ-მინისტრმა მადლიერება გამოხატა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მიმართ, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით მრავალი წელია ეხმარება.

Gürcistan ve Fransız Kalkınma Ajansı (AFD) Arasında Anlaşma
შეთანხმება საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) შორის

Gürcistan ve Fransız Kalkınma Ajansı (AFD), 2021-2023 için bir işbirliği programı anlaşması imzaladı.
Anlaşmaya göre Gürcistan, mevcut ve önümüzdeki 2 yılda 483 milyon Euro'luk yardım alacak ve bunun 33 milyon Euro'dan fazlası hibe şeklinde olacak.
Başbakanın da belirttiği gibi, 483 milyon Euro'luk yardım çerçevesinde enerji, özel sektör kalkınması, sağlık, çevre, tarım, sulama, su temini ve bölgesel kalkınma gibi çeşitli alanlarda ülke için önemli proje ve programlar hayata geçirilecek.

საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) შორის გაფორმდა შეთანხმება 2021-2023 წლებისთვის თანამშრომლობის პროგრამის თაობაზე.

შეთანხმების მიხედვით, მიმდინარე და შემდგომი 2 წლის განმავლობაში საქართველომ დახმარების სახით უნდა მიიღოს 483 მლნ ევროს დაფინანსება, აქედან 33 მლნ ევროზე მეტი - გრანტის სახით.
როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, 483 მილიონი ევროს დახმარების ფარგლებში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტები და პროგრამები განხორციელდება სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, ენერგეტიკის, კერძო სექტორის განვითარების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ირიგაციის, წყალმომარაგებისა და რეგიონული განვითარების მიმართულებით.

Avrupa İmar ve Kalkınma Bankası (EBRD) Başkan Yardımcısı Alan Pilloux ile Görüşme
შეხვედრა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვიცე-პრეზიდენტ ალან პილოუსთან

Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili, Avrupa İmar ve Kalkınma Bankası (EBRD) Başkan Yardımcısı Alain Pilloux ile video konferans formatında bir araya geldi.
Toplantıda, Avrupa İmar ve Kalkınma Bankası ile işbirliği içinde Gürcistan'da uygulanan başarılı projeler üzerinde durulmuştur. Bugüne kadar EBRD yardımının 4 milyara ulaştığı kaydedildi. 250'den fazla projeye ulaştı.
Portföyünün en büyük payının, Gürcistan ekonomisi üzerinde çok güçlü ve sürdürülebilir bir etkiye sahip olan özel sektörden geldiği kaydedildi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის(EBRD) ვიცე-პრეზიდენტ ალან პილოუს ვიდეოკონფერენციის ფორმატში შეხვდა.
შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანამშრომლობით საქართველოში განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე. აღინიშნა, რომ EBRD-ის დახმარებამ დღემდე 4 მლრდ. ევრომდე შეადგინა 250-ზე მეტ პროექტში. აღინიშნა, რომ მისი პორტფელის უდიდესი წილი კერძო სექტორზე მოდის, რასაც ძალიან ძლიერი და მდგრადი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე.

Kutaisi Uluslararası Havalimanı'nda yeni terminal açıldı
ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი ტერმინალი გაიხსნა

Kutaisi Uluslararası Havalimanı'nda yeni bir terminal açıldı. Başbakan, İmereti ziyareti sırasında ekibin diğer üyeleriyle birlikte yenilenen havalimanını ziyaret etti. Başbakanın da belirttiği gibi Kutaisi Havalimanı en çok büyüyen, gelişen ve başarılı projelerden biri. Hükümet başkanı Irakli Garibashvili ve Ekonomi Bakanı Natia Turnava'nın belirttiği gibi, terminal daha da fazla yolcu için giriş sağlayacak.

Yeni terminal modern standartları karşılıyor ve ilk terminalden 6 kat daha büyük.

Havalimanları Birliği müdürüne göre, genişletilen havalimanı koşullarında yolculara daha iyi hizmet verilecek. Projeye göre yerinde yemek tesisleri düzenlenecek. Aynı zamanda, havalimanı müteahhitlerle birlikte 1.200 kişiye istihdam sağlayacak. Kutaisi Havalimanı 2.500.000 yolcuya hizmet verebilir.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი ტერმინალი გაიხსნა. იმერეთის ვიზიტის ფარგლებში პრემიერ მინისტრი გუნდის სხვა წევრებთან ერთად განახლებულ აეროპორტს

ესტუმრა, როგორც პრემიერმა განაცხადა ქუთაისის აეროპორტი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი, განვითარებადი და წარმატებული პროექტია. როგორც მთავრობის მეთაურმა და ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ აღნიშნეს ტერმინალი კიდევ უფრო მეტი მგზავრის შემოსვლას უზრუნველყოფს.

ახალი ტერმინალი არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და ის 6-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე პირველი ტერმინალი.

აეროპორტების გაერთიანების დირექტორის თქმით გაფართოებული აეროპორტის პირობებში მგზავრებს გაუმჯობესებული სერვისი დახვდებათ. პროექტის მიხედვით ადგილზე მოეწყობა კვების ობიექტები. ამავდროულად აეროპორტი კონტრაქტორ კომპანიებთან ერთად 1200- მდე ადამიანს დაასაქმებს. ქუთაისის აეროპორტს 2,500,000 მგზავრის მომსახურეობა შეუძლია.

2021'in ilk çeyreğinde doğrudan yabancı yatırım.
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1-ელ კვარტალში.

Ön verilere göre, 2021'in ilk çeyreğinde Gürcistan'a yapılan doğrudan yabancı yatırım hacmi, 2020'nin ilk çeyreğine ilişkin ön verilere göre yüzde 28,3 daha az olan 125,4 milyon ABD doları olarak gerçekleşti.

2021'in ilk çeyreğinde Gürcistan'a yapılan doğrudan yabancı yatırıma göre, ülkeler listesindeki en büyük yatırımcı, toplam doğrudan yabancı yatırımın yüzde 70,5'i olan 88,4 milyon ABD doları ile Birleşik Krallık'tır. Rusya 31,9 milyon ABD doları (yüzde 25,4) ile ikinci, Türkiye ise 24,5 ABD doları (yüzde 19,5) ile üçüncü sırada yer alıyor.

Ulusal İstatistik Ofisi'ne göre, 2021'in ilk çeyreğinde en büyük doğrudan yabancı yatırım finans sektöründe yapıldı ve toplam doğrudan yabancı yatırımın yüzde 74,9'u olan 93,9 milyon dolara ulaştı. İkinci sırada 35,5 milyon ABD doları (yüzde 28,3) ile enerji sektörü, üçüncü sırada ise 27,9 milyon ABD doları (yüzde 22,2) ile imalat sektörü yer alıyor.

2021'in ilk çeyreğinde Gürcistan'a doğrudan yabancı yatırım (milyon USD)
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2021 წლის I კვარტალში (მლნ. აშშ დოლარი)



წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2021 წლის 1-ელ კვარტალში 125.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის 1-ლი კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 28.3 პროცენტით ნაკლებია.

2021 წლის 1-ელ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალში პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო - 88.4 მლნ აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 70.5 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე იმყოფება რუსეთი - 31.9 მლნ აშშ დოლარით (25.4 პროცენტი), ხოლო მესამეზე თურქეთი - 24.5 აშშ დოლარით (19.5 პროცენტი).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის 1-ელ კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 93.9 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 74.9 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი - 35.5 მლნ აშშ დოლარით (28.3 პროცენტი), ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 27.9 მლნ აშშ დოლარით (22.2 პროცენტი).

Gürcistan'da en çok kişiyi istihdam eden ilk 10 şirket
Top-10 კომპანია, რომელიც ასაქმებს ყველაზე მეტ ადამიანს საქართველოში.

2021'in ilk çeyreğinde, iş sektöründeki ortalama çalışan sayısı, geçen yılın aynı dönemine göre yüzde 9,0 daha az olan 622,7 bin kişi olarak tahmin edildi.

Geostat'a göre, toplam çalışan sayısının yüzde 41,5'i büyük işletmelerden, yüzde 22,5'i orta ölçekli işletmelerden ve kalan yüzde 36,0'ı küçük işletmelerden geliyor.
Business Press News, en fazla insanı istihdam eden 10 şirket sunuyor:

• Evolution Georgia Ltd (Telekomünikasyon Faaliyetleri)
• JSC Gefa (Belirli bir mala tahsis edilmiş mağazalarda eczacılık ürünlerinin perakende ticareti)
• JSC Energo-Pro Georgia (elektrik dağıtımı)
• Tbilservice Group Ltd (tehlikesiz atık toplama)
• JSC Gürcistan Demiryolu (Demiryolu Taşımacılığı)
• Georgian Manganese Ltd (dökme demir, çelik ve ferroalyaj üretimi)
• JSC Nikora Trade (Genellikle gıda, içecek veya tütün ürünlerinin perakende satışı)
• Retail Group Ltd (Genellikle gıda, içecek veya tütün ürünlerinin perakende satışı)
• Tbilisi Transport Company Ltd (şehir içi ve banliyö yolcu kara taşımacılığı)
• JSC Evex Hastaneleri (Hastane Faaliyetleri)

2021 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 622.7 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 9.0 პროცენტით ნაკლებია.
საქსტატის ინფორმაციით, დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 41.5 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.5 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 36.0 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.
ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ 10 კომპანიას, რომელიც ყველაზე მეტ ადამიანს ასაქმებს:

- შპს ევოლუშენ ჯორჯია (ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები)
- სს გეფა (საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში)
- სს ენერგო-პრო ჯორჯია (ელექტროენერგიის განაწილება)
- შპს თბილსერვის ჯგუფი (არასახიფათო ნარჩენების შეგროვება)
- სს საქართველოს რკინიგზა (რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი)
- შპს ჯორჯიან მანგანეზი (თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება)
- სს ნიკორა ტრეიდი (საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით)
- შპს რითეილ ჯგუფი (საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით)
- შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია (საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი)
- სს ევექსის ჰოსპიტლები (საავადმყოფოების საქმიანობები)

Covid – 19

Gürcistan'da korona virüs vaka sayısındaki düşüş eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 4887'e ulaştı (ortalama: 698 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 352 649'e ulaştı. Can Kaybı – 5012, iyileşenlerin sayısı – 337 820, aktif vaka ise – 9 817. Halihazırda hastanelerde 3175, otellerde ise 595 kişi tedavi görüyor, 38 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %1.84'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %2.67'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %2.44'e eşittir.

Gürcistan'da aşı toplam 197 114 kişiye yapıldı.
Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 175 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 175 665 006; Can Kaybı – 3 790 024; İyileşen kişi sayısı – 159 527 711. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Fransa ve Türkiye'de görülmüştür.

საქართველოში კორონავირუსის შემთხვევების კლების ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 4887-ს უტოლდება (698 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 352 649 შეადგინა, გარდაიცვალა 5012, გამოჯანმრთელდა 337 820, ხოლო 9817 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 3175 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 595 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 38 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 1.84%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 2.67%, ხოლო 7 დღის 2.44%.

საქართველოში ჯამურად აცრა 197 114 ადამიანს ჩაუტარდა.
კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 175 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 175 665 006 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 3 790 024, ხოლო გამოჯანმრთელდა 159 527 711 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, საფრანგეთსა და თურქეთს ჰყავს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.1613 TRY/GEL – 0.3704 EUR/GEL – 3.8460 GBP/GEL – 4.4568

USD/GEL

04 -11 Haziran 2021

USD/TRY

04 - 11 Haziran 2021

TRY/GEL

04 - 11 Haziran 2021

BTC – 39 850.04

04 - 11 Haziran 2021